ვამტკიცებ

სსიპ კოლეჯი მოდუსის დირექტორი:

---

27.04.2021 წ

Ord. N=103

# სახანძრო უსაფრთხოების წესი

რუსთავი

2020

## 1. სახანძრო უსაფრთხოების ზოგადი დებულებები

**1.1.** კოლეჯში სახანძრო უსაფრთხოების ზომების ინსტრუქცია შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის დადგენილება №370 და სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მოქმედი სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნის შესაბამისად.

**1.2.** ინსტრუქცია ადგენს სახანძრო უსაფრთხოების ზოგად მოთხოვნებს ქალაქ რუსთავში და ქალაქ მარნეულში განთავსებულ კოლეჯის სასწავლო კორპუსების ტერიტორიაზე და სავალდებულოა შესასრულებლად ყველა თანამშრომლისათვის.

**1.3.** კოლეჯში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა და სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებების შესრულება ევალება, სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლად დანიშნულ პირს(ებს).

**1.4.** კოლეჯის დირექტორს უფლება აქვს დანიშნოს სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი, რომლებმაც დაკავებული თანამდებობის ან შესასრულებელი სამუშაოების ხასიათის მიხედვით უნდა შეასრულონ სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისი წესები ან უზრუნველყონ მათი შესრულება. კოლეჯში სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები არიან **კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებული პასუხისმგებელი პირი(ები),**

**1.5.** სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია დროულად უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულება.

**1.6.** პასუხისმგებლობა ინსტრუქციით დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე, უშუალოდ სამუშაო ადგილებზე ეკისრებათ კოლეჯის დირექტორის მიერ დანიშნულ პასუხისმგებელ თანამშრომელს.

**1.7**. კოლეჯის თანამშრომლები ვალდებულნი არიან, სამუშაოს დაწყებამდე ყურადღებით დაათვალიერონ სამუშაო ადგილები და დარწმუნდნენ მათ უსაფრთხოებაში ხანძარსაწინააღმდეგო თვალსაზრისით.

**1.8.** კოლეჯში მომუშავე ყველა თანამშრომელი ვალდებულია:

ა) დაიცვას სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები და ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმი;

ბ) დაიცვას უსაფრთხოების ზომები, ქიმიური ხსნარების მოხმარებისას, ადვილადაალებადი და წვადი სითხეების, სხვა ხანძარსაშიში ნივთიერებების, მასალების და მოწყობილობების გამოყენებით სამუშაოების შესრულებისას;

გ) იცოდეს ხანძრის დროს ევაკუაციის გეგმა და ცეცხლმაქრების განთავსების ადგილები;

დ) იცოდეს ცეცხლმაქრებით სარგებლობის ხერხები (ცეცხლმაქრის გამოყენების ინსტრუქტაჟი უტარდება დირექტორის მიერ გამოვლენილ პასუხისმგებელ თანამშრომლებს);

ე) არ ჩახერგოს საევაკუაციო გზები და გასასვლელები;

ვ) სამუშაოს დასრულების შემდგომ გამორთოს ელექტროხელსაწყო როზეტიდან, მოახდინოს სამუშაო ადგილის დათვალიერება და გამორთოს განათება;

**1.9.** კოლეჯის თანამშრომლებს ეკრძალებათ:

ა) სათავსებში ადვილადაალებადი, წვადი და ფეთქებადი ნივთიერებების შენახვა;

ბ) შენობაში თამბაქოს მოწევა;

გ) არაქარხნული წესით დამზადებული და გაუმართავი ელექტროხელსაწყოების გამოყენება;

დ) ქსელში ჩართული ელექტროხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება;

**1.10.** კოლეჯის თითოეული სართული აღჭურვილია საჭირო რაოდენობის და შესაბამისი ტიპის ცეცხლმაქრებითა და დაკვამლიანების სენსორებით;

## 2. სახანძრო უსაფრთხოების ორგანიზაციული ღონისძიებები

**2.1.** კოლეჯში დადგენილია შენობის დასუფთავების, ნარჩენების შეგროვების, შენახვისა და გატანის წესი;

**2.2.** კოლეჯში ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქციის ჩატარებას უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, ინსტრუქტაჟს გავლა დასტურდება ფურცელზე ხელისმოწერით (დანართი N2);

**2.3.** სახანძრო ინსტრუქციის სწავლება ხორციელდება წელიწადში ორჯერ და ახალი თანამშრომლის მიღებისთანავე;

**2.4.** კოლეჯის ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე არის გამოკრული ადამიანთა ევაკუაციის გეგმები;

**2.5.** კოლეჯში უფლებამოსილი თანამდებობის პირი ფლობს ინფორმაციას შენობაში მყოფი, პერსონალის რაოდენობის და ადგილსამყოფელის შესახებ, რათა საჭიროების შემთხვევაში მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია სახანძრო-სამაშველო სამსახურს;

## 3. კოლეჯის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები ტერიტორიის, შენობა-ნაგებობებისა და სათავსებისთვის

**3.1.** კოლეჯის ეზო (არსებობის შემთხვევაში) დროულად უნდა გასუფთავდეს წვადი ნარჩენების, ჩამოცვენილი ფოთლებისა და ხმელი ბალახისაგან;

**3.2.** შენობა-ნაგებობებთან, წყლის წყაროებთან (სახანძრო ჰიდრანტებთან) მისასვლელები და გასასვლელები უნდა იყოს მოწესრიგებული და თავისუფალი სახანძრო ტექნიკის მისასვლელად, ხოლო ზამთრის პერიოდში გაწმენდილი თოვლისა და ყინულისაგან (არსებობის შემთხვევაში);

**3.4.** ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები და დანადგარები მუდმივად უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში;

**3.5.** ხანძრის თავიდან აცილების მიზნით დაუშვებელია სამუშაოების ჩატარება გაუმართავ მოწყობილობებსა და დანადგარებზე;

**3.6.** კოლეჯში აკრძალულია ტექნიკური სათავსების სხვა დანიშნულებით გამოყენება, მათ შორის მოწყობილობების, ავეჯის და სხვა საგნების შესანახად;

**3.7.** კოლეჯში უზრუნველყოფილი უნდა იყოს საევაკუაციო გზების სისუფთავე, არ უნდა მოხდეს საევაკუაციო გზების და გასასვლელების (ჰოლის, კიბის უჯრედების, კიბის საფეხურების, კარების) სხვადასხვა მასალით, მოწყობილობებით, ნარჩენებით და სხვა საგნებით ჩახერგვა;

## 4. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები კოლეჯის ელექტრო დანადგარებისათვის

**4.1** ელექტროდანადგარების და ელექტრო ქსელების ექსპლოატაციაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ ელექტრომოწყობილობებისა და აპარატურის პროფილაქტიკური დათვალიერება და იმ დარღვევების დროული აღმოფხვრა, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ ხანძარი;

**4.2.** აკრძალულია დაზიანებული ან იზოლაციის დამცავი თვისებებდაკარგული სადენებისა და კაბელების გამოყენება;

**4.3.** აკრძალულია დაზიანებული როზეტების, გამთიშველების და სხვა ელექტრო ნაწარმის გამოყენება;

**4.4.** გათბობის სეზონის დაწყებამდე საქვაბეები, გათბობის სხვა ხელსაწყოები და სისტემები უნდა იყოს შემოწმებული. გათბობის გაუმართავი დანადგარებისა და ხელსაწყოების ექსპლოატაცია დაუშვებელია.

## 5. ხანძრის შემთხვევაში კოლეჯის თანამშრომლების მოქმედების წესი

**5.1.** ხანძრის გაჩენის შემთხვევაში უფლებამოსილი პირის მოქმედებები უნდა იყოს მიმართული ადამიანთა უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და მათ დროულ ევაკუაციაზე (დანართი №1)

**5.2.** კოლეჯში ხანძრის აღმოჩენის შემთხვევაში თითოეული თანამშრომელი ვალდებულია შეწყვიტოს სამუშაო და დაუყოვნებლივ შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ სახანძრო -სამაშველო სამსახურს **„112“;**

**5.3.** კოლეჯის ყველა თანამშრომელი ვალდებულია შეძლებისდაგვარად მონაწილეობა მიიღოს ადამიანთა ევაკუაციაში, თუ მათ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება;

| | | | |
|---|---|---|---|
| | სახანძრო-სამაშველო სამსახურების დახვედრა. | და რა იწვის, ემუქრება თუ არა ადამიანებს საფრთხე, ტერიტორიაზე წყლის წყაროების არსებობა, სართულების ევაკუაციის გეგმების გადაცემა | |

დანართი 2

ინსტრუქტაჟის გავლის ფურცელი

| | **სახელი, გვარი** | **ხელმოწერა** | **თარიღი** |
|---|---|---|---|
| **1.** | | | |
| **2.** | | | |
| **3.** | | | |
| **4.** | | | |
| **5.** | | | |
| **6.** | | | |
| **7.** | | | |
| **8.** | | | |
| **9.** | | | |
| **10.** | | | |
| **11.** | | | |
| **12.** | | | |
| **13.** | | | |
| **14.** | | | |
| **15.** | | | |
| **16.** | | | |
| **17.** | | | |
| **18.** | | | |
| **19.** | | | |
| **20.** | | | |

**5.4. საშიშროების საერთო განკარგულების მიღებისას დატოვოს შენობა;**

**5.5.** კოლეჯის სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია გადაამოწმოს გამოძახებულია თუ არა სახანძრო-სამაშველო სამსახური და შეძლებისდაგვარად მიიღოს ზომები ხანძრის ჩასაქრობად და ევაკუაციისთვის, თუ მის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება;

**5.6.** სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი ასევე ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში გამორთოს ელექტროენერგია, შეაჩეროს სავენტილაციო და კონდენცირების სისტემების მუშაობა დაკვამლიანების თავიდან აცილების მიზნით;

**5.7.** სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელმა პირმა, სახანძრო უსაფრთხოების კოორდინატორთან ერთად უნდა უზრუნველყოს ყველა თანამშრომლის გაყვანა შეკრების ადგილზე;

**სახანძრო სიგნალიზაციის დანადგარების მდგომარეობაში დღე-ღამის განმავლობაში.** **სახანძრო მაუწყებლები უნდა იმყოფებოდნენ მუშა**

**ხანძრის შესახებ შეტყობინების მისაღებად საქართველოს სატელეფონო ქსელში დადგენილია ერთიანი ნომერი „112“**

დანართი 1

## ევაკუაციის ინსტრუქცია

| | **მოქმედების დასახელება** | **მოქმედების წესი და თანმიმდევრობა** | **შემსრულებელი** |
|---|---|---|---|
| 1 | შეტყობინება ხანძრის შესახებ | ხანძრის აღმოჩენის შემთხვევაში სახანძრო- სამაშველო სამსახურის გამოძახება ტელეფო- ნით "112", | თანამშრომელი, რომელმაც პირველმა აღმოაჩინა ხანძარი |
| 2 | მაუწყებლობა ხანძრის შესახებ | ხანძრის შესახებ ინფორმაციის მიწოდება კოლეჯში მყოფი ადამიანებისათვის ძირითადი და სათადარიგო გასასვლელების, ტურნიკეტების გაღება | სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები, |
| 3 | ადამიანთა ევაკუაცია | - ხანძრის შესახებ შეტყობინების მიღების შე- მდეგ ადამიანების ორგანიზებული გაყვანა დერეფნების, კიბის უჯრედებისა და გასასვლელების გავლით | სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები, |
| 4 | ევაკუირებული ადამიანების ფაქტიური რაოდენობის შედარება სიით არსებულ რაოდენობასთან | ადამიანთა თავმოყრა სპეციალურად გათვალისწინებულ ადგილზე - ყველა ევაკუირებულის აღრიცხვა და შე დარება სიით არსებულ რაოდენობასთან - თავმოყრის ადგილზე ადამიანთა სრული შემადგენლობის არყოფნის შემთხვევაში ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელისათვის ინფორმაციის დაუყოვნებელი მიწოდება | - სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები, |
| 5 | გაჩენილი ხანძრის ჩაქრობა სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მისვლამდე - | ხანძრის ჩაქრობის ორგანიზება მისი აღმოჩენის მომენტიდან, ცეცხლმაქრების, სა- ხანძრო ონკანების, გამოყენებით - მატერიალური ფასეულობების ევაკუაცია | თანამშრომლები, რომლებიც არ მონაწილეობენ ევაკუაციაში, სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები, |
| 6 | მოსული სახანძრო-სამაშველო დანაყოფის დახვედრა - | ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელისათვის შექმნილი ვითარების შესახებ ინფორმაციის შეტყობინება - სად | ადმინისტრაცია, |